ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №465156

ნომერი: AR194154

თარიღი : 22.11.2012

გაცემის თარიღი : 12.12.2012

გაცნობის თარიღი : 13.12.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გრიშაშვილი , N 9 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა კაპანაძე პ/ნ 01008037746
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 61 კორ. 19 ბ. 54

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2012 წლის 22 ნოემბერს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახურს AR194154 განცხადებით მომართა მოქალაქე ნანა კაპანაძემდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოითხოვა ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გრიშაშვილის ქ. #9–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.18.04.019.006) სასტუმროს ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა;

გამომდინარე იქედან, რომ საპროექტო ტერიტორია მოქცეულია ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის საზღვარში, საკითხი განიხილა ”საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის _ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულმა სამეცნიერო–

მეთოდურმა საბჭომ“, რომელზედაც მიღებული იქნა უარყოფითი დასკვნა.(2012 წლის 27 ნოემბრის სხდომის ოქმი #48). საბჭოს რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე ნანა კაპანაძეს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, გრიშაშვილის ქ. #9–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.18.04.019.006) სასტუმროს ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.